ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1709278

ნომერი: AR1281322

თარიღი : 26.01.2015

გაცემის თარიღი : 30.01.2015

გაცნობის თარიღი : 31.01.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბ.ხმელნიცკი , N 3ა , (ნაკვეთი N6/42) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა ბრეგვაძე პ/ნ 54001004875
- ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. 30, კორპ I, ბინა 8

ორგანიზაცია:
- შპს ,,პსპ აფთიაქი" კოდი: 202199575

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული გაბარიტების უცვლელად შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შეღებვა) განხორციელების და სარეკლამო აბრების შეცვლის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა #3ა (ნაკვეთი #6/42), თანასაკუთრების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (006/042), არსებული გაბარიტების უცვლელად შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შეღებვა) განხორციელებას და სარეკლამო აბრების შეცვლას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემები N 01.19.35.006.042 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015028981 28/01/2015წ.0, ასევე წარმოდგენილი მინდობილობა, თანამესაკუთრის თანხმობა და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, ბ. ხმელნიცკის ქუჩა #3ა (ნაკვეთი #6/42), თანასაკუთრების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (006/042), არსებული გაბარიტების უცვლელად შენობის ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების (ფასადის შეღებვა) განხორციელებას და სარეკლამო აბრების შეცვლის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.